

ფჯ სათემო ამბულატორიული სერვისის მუშაობის შეფასება

ჟულიეტა აბრამაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყონია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჟულიეტა აბრამაშვილი

2018 წლის 10 ივნისი

აბსტრაქტი

ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებისათვის სათემო სერვისების არსებობა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს შორის ერთ-ერთი ეხება სახელმწიფო პროგრამის მოცულობას სათემო სერვისებთან დაკავშირებით. 2018 წლიდან ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის გაზრდილი ბიუჯეტის ძირითადი და მნიშვნელოვანი ცვლილება სათემო ამბულატორიული სერვისების დაფინანსებას შეეხო.

კვლევა მიზნად ისახავდა შეფასებინა თუ რა მაშტაბით სრულდება 2018 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები სათემო ამბულატორიების მიერ და რამდენად მზადაა ეს სერვისი ხარისხის ახალი სტანდარტის დასაწერად.

კვლევა ჩატარდა 16 სამედიცინო დაწესებულებაში, რომლებიც სათემო ფსიქიატრიულ ამბულატორიულ მომსახურებას ახორციელებენ. შეფასება მოხდა კითხვარის საშუალებით, რომელიც აფასებდა ზოგად მონაცემებს დაწესებულებებში (რაოდენობრივ მახასიათებლები), 2018 წლის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მოცულობას და სათემო ამბულატორიული მომსახურების სტანდარტის შესაბამისი პუნქტების დაკმაყოფილების ხარისხს.

კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ ამბულატორიული მომსახურება ხელმისაწვდომია მოცვის არეალში მცხოვრები ყველა ფსიქიკური პრობლემის მქონე პირისთვის, გაუმჯობესებულია ზრუნვაში ჩართული პაციენტების მედიკამენტებით მომარაგება, გაზრდილია ახალ სტანდარტზე გადასვლისა და მდგ პრინციპით მუშაობის მზაობა.

გამოვლინდა, კადრების ნაკლებობაა: ფსიქიატრიული ექთნის, კლინიკური სოციალური მუშაკისა და კლინიკური ფსიქოლოგების კუთხით, რომლებსაც აქვთ მულტიდისციპლინური პრინციპით მუშაობის ცოდნა და უნარ-ჩვევები.

კვლევის შედეგების მიედვით შეიძლება ითქვას, რომ სათემო ამბულატორიების მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება.

საკვანძო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობა, სათემო მბულატორიული მომსახურება.

Abstract

For people with mental health, the availability of community services has an important role. In the field of mental health from the government of Georgia, one of the implemented changes concerns the government program on the community service. Since 2018, the main and important change in the increased budget of the government's mental health program has been the financing of community ambulatory services.

The purpose of the study was to assess the extent to which the responsibilities of the government program of 2018 are carried out by the community ambulatory clinics and how ready this service is to establish new quality standards.

The study was conducted in 16 medical institutions that carry out community psychiatric ambulatory services. The assessment was carried out using questionnaire, which assessed the general data in institutions (quantitative characteristics), the volume of services defined by the state program of 2018 and the quality of the satisfaction of the corresponding items of the community ambulatory service standards.

As a result of the research, it turned out that ambulatory services are available to all persons with mental problems living in the range, the provision of medication to included patients in care has been improved, preparedness to move to a new standard and work with the MDG principle has been improved.

It turned out to be a shortage of cadres: from a psychiatric doctor, a clinical social worker and clinical psychologists who have the knowledge and skills to work with a multidisciplinary principle.

In accordance with the results of the study, it can be said that the quality of ambulatory services has slightly changed, although it is characterized by a trend of improvement.

Keywords: mental health, community ambulatory services

მადლობა

მადლობა კვლევაში მონაწილე ფჯ სათემო ამბულატორიული დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და პერსონალს მოწოდებული ინფორმაციისათვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ეკა ჭყონიას გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.